

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ მალხაზ მერლანს და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილეს, პოლკოვნიკ ალექსანდრე კიკნაძეს შეხვდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებმა პრემიერ-მინისტრს ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართული კონტინგენტის სახელით, სიმბოლური საჩუქარი - საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცეს, რომელიც ავღანეთში ISAF-ის მისიის შესრულებისას ქართულ ბაზაზე ფრიალებდა.

{youtube}LYTP3DRMWFU{/youtube}